

პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზა

ფეხბურთის ხარისხში არსებული პრობლემების გამო მომხმარებელი არ იჩენს ინტერესს მის მიმართ. ხოლო პროდუქტის განვითარება შეუძლებელია მომხმარებლის, ამ შემთხვევაში გულშემატკივრის, მხარდაჭერის გარეშე. ეს ორი კომპონენტი ქმნის ერთგვარ ჩაკეტილ წრეს, სადაც ერთ-ერთი კომპონენტის განვითარების გარეშე შეუძლებელია საერთო განვითარების პროცესის დაწყება.

ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე დასასწრებად მაყურებელს ვინმემ ან რამემ უნდა მისცეს ბიძგი და გაუჩინოს მოტივაცია.

ქართველებისთვის საამაყოა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია, სადაც სტუმრის პატივისცემას ძალიან მნიშვნელოვანი როლი უკავია, რადგან „სტუმარი ღვთისაა“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან სტუმრის პატივისცემის უმაღლესი გამოხატულება უმეტეს წილად ჭამა-სმა და საქართველოს ისტორიით ტრადიციულად, სტუმრებისადმი პატივისცემის დასამტკიცებლად არც მათ მიერ ინიცირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან ვიკავებთ თავს და მზად ვართ ნებისმიერი სურვილი ავუსრულოთ.

რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ სტუმარი მოითხოვს ფეხბურთზე წაყვანას?

„სტუმარი ღვთისაა“ და სწორედ ამ ინსაიტზე დაყრდნობით, კამპანიის „დაფარული საქართველოს“ ფარგლებში, პრობლემის გადასაჭრელად სრულიად ახალი სეგმენტი - ტურისტები ავირჩიეთ.

პრობლემის გადასაჭრელად, ეროვნული ჩემპიონატით ტურისტებს დავაინტერესებთ და მათი დახმარებით ქართველ გულშემატკივარს მოვიზიდავთ.

მთავარი იდეისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის აღწერა

როდესაც ადამიანი სხვა ქვეყნის კულტურას ეცნობა, მისთვის ყოველთვის უფრო საინტერესოა ის, რაც დაფარულია. სტადიონზე გულშემატკივრობისას ქართველები ვავლენთ თვისებებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიზეზთა გამო, შეიძლება დაფარული იყოს. სწორედ ეს არის საქართველო, რომელსაც ტურისტები ვერ იცნობენ. ამიტომ, ჩვენ ვუჩენთ საქართველოში მათ „დაფარული საქართველოს“ გაცნობას ვთავაზობთ.

„სთხოვე ქართველ მასპინძელს განახოს დაფარული საქართველო“ - კამპანიის მთავარი მესიჯია, რომელიც საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს უბიძგებს იმაზე მეტის აღმოჩენისკენ, ვიდრე ეს გაიდბუქებშია ნაჩვენები.

ვებ-გვერდი www.unexploredgeorgia.ge. სამი ნაწილისგან შედგება. სეროლვის დასაწყისში ტურისტების ინტერესს „დაფარული საქართველოს“ შესახებ მესიჯებით ვალვივებთ (მაგ: 1. თქვენ ვერასდროს გაიგებთ, როგორ ჟღერს ქართული სლენგი რეალურ ცხოვრებაში, თუ არ სთხოვთ ქართველ მასპინძელს განახოთ დაფარული საქართველო. 2. თქვენ ვერასდროს გაიგებთ, როგორი ემოციურები არიან სინამდვილეში ქართველები, თუ არ სთხოვთ ქართველ მასპინძელს განახოთ დაფარული საქართველო. 3. თქვენ ვერასდროს გაიგებთ, როგორი სხარტი შეიძლება იყოს ქართული იუმორი, თუ არ სთხოვთ ქართველ მასპინძელს განახოთ დაფარული საქართველო.) აქვე არის თამაშების განრიგისა და ადგილმდებარეობების, ასევე ქართული გუნდების შესახებ ინფორმაციის დათვალიერების საშუალება.

ვებ-გვერდის რეკლამას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თავიანთ ენაზე, სოციალურ ქსელებში ნახავენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებულ

ინფორმაციას მოძებნიან სხვადასხვა ტურისტულ ვებ-გვერდებზე (Tripadvisor.com, Airbnb.com, Booking.com). შედეგად, ტურისტი ჩვენი კამპანიის შემადგენილი ნაწილი ხდება იმ წუთიდან, როდესაც ის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოძიებას დაიწყებს.

სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოსკენ მომავალი თვითმფრინავების ჟურნალებში, შესაბამის ენებზე განთავსდება ვებ-გვერდის რეკლამა, რომელიც ტურისტებს მოუწოდებს სთხოვოს ქართველ მასპინძლებს აჩვენონ „დაფარული საქართველო“.

აეროპორტებსა და სასაზღვრო პუნქტებში „unexploredgeorgia“-ს სტენდებიც დაიდგმება, სადაც თითოეულ ტურისტს მივანვლით ინფორმაციას კამპანიის შესახებ საიტს პირისპირაც მივანვლით.

კამპანიის უწყვეტობის გასაგრძელებლად, ანალოგიური სტიკერებით უცხოენოვან მენიუებსა და ტურისტული მიკროავტობუსების სკამებს, სტენსილებით კი დიდი ქალაქების კედლებს ავაჭრებლეთ.

კამპანიის წარმატება

კამპანიისათვის შერჩეული ძირითადი სამიზნე აუდიტორია საკმაოდ დიდია. 2016 წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე საქართველოში 2 716 774 ტურისტი შემოვიდა. ეს რიცხვი წლიდან-წლამდე იზრდება. იმისათვის, რომ ჩვენი კამპანია წარმატებული გამოდგეს, ტურისტთა გასული წლის სრული რაოდენობის 3%-ის ჩართულობაც კი საკმარისია [75 000 ტურისტი + 75 000 მასპინძელი].

ამასთან, ვინაიდან ტურისტები „მუდმივად განახლებადი სეგმენტია“ და თითოეული ტურისტი, თავისთავად უნიკალური, ახალი მომხმარებელია, კამპანიას დროის შემზღუდვა ფაქტიურად არ გააჩნია.

სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობის ზრდა ფეხბურთელთა მოტივაციის ზრდასა და ქართული ფეხბურთის განვითარების დაჩქარებას შეუწყობს ხელს. ეს ჩაკეტილი წრიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ - მეტი მაყურებელი უკეთესს ხარისხს, ხოლო უკეთესი ფეხბურთი კიდევ უფრო მეტ მაყურებელს უდრის.